ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 20 (9960) • 4 ivnisi • 2012 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## საკრებულოს სხდომაზე პროექტები განიხილეს



1 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. თავდაპირველად სოფლის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 15 ტერიტორიულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტები განიხილეს.

საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა აღნიშნა, რომ პროექტები მოსახლეობასთან შეხვედრებზე დაზუსტდა, პრიორიტეტი სასმელი წყლის სისტემები, გზები, საბავშვო ბაღების რემონტი, სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებია. სოფ. კონჭკათის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ სოფელზე გათვალისწინებული 27958 ლარიდან 20 ათასი ლარი საბავშვო ბაღის შეძენა-შეკეთებისთვის გაითვალისწინეს. სექტემბრიდან კონჭკათელი ბავშვები ახალ ბაღში ივლიან.

საკრებულოს სხდომამ მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებები განიხილეს. მუნიციპალიტეტს 1 500 000 ლარი გამოუყვეს. სოფ. დვაბზუ – ვაკიჯვრის გზის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაციისათვის; ასევე მოხდება ოზურგეთის სპორტსკოლის შენობისა და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრმა კახა ღლონტმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამაზ ტრაპაიძემ დააყენეს საკითხი სპორტსკოლის ეზოში სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა ქ. ოზურგეთის №9 ბაღის შეკეთების შესახებ.

## ლაზიკა–მითი თუ სინამდვილე?

გაზეთი „ალიონი“



29 მაისს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) ორგანიზებით გამართული შეხვედრა ქალაქ ლაზიკის სტატუსის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვის შესახებ ცვლილებების პროექტზე საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესის დაწყებას ითვალისწინებდა.

**NDI**-ის პრესრელიზში აღნიშნული იყო, რომ „შეხვედრაზე საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრები საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციური ფრაქციებიდან დამსწრე საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტებს წარუდგენენ და საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს გააცნობენ. შეხვედრას დაესწრებიან მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და პოლიტიკური საზოგადოების წარმომადგენლები.“

ესოდენ დიდი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე მისულს დარბაზში სულ სხვა სურათი დაგვხვდა. დარბაზი გადაჭედილი იყო საჯარო მოხელეებით, აიპების წარმომადგენლებით, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებით. იყო რამდენიმე ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და „ქართული ოცნების“ კოალიციის ორი თუ სამი აქტივისტი. დღევანდელი სიტუაცია თავის გამოსვლაში, ასე შეაფასა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელმა ქეთევან ხიდაშელმა, რომ „დღეს სამოქალაქო საზოგადოება არ გვაქვს.“

ასეთი ერთპარტიული დარბაზის ფონზე წარიმართა უშუალო განხილვის პროცესი. ლაზიკას შესახებ დარბაზს თავიანთი პოზიციები გააცნეს და ჟურნალისტებისა და არასამთავროების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხები გასცეს სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ივა დავითაიამ, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა ჯონდი ბაღათურიამ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დასაწყისში ივა დავითაიამ აღნიშნა, რომ საქართველოში არის ხელსაყრელი გარემო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რაც გამოიხატება ლიბერალურ ეკონომიკურ გარემოში, ქონების დარეგისტრირების პირობების გამარტივებაში და სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებში. ამას ემატება ქვეყანაში არსებული კორუფციის დაბალი დონე და უსაფრთხო გარემო. ახლა სუფთა ფურცლიდან იწყებენ ახალი ქალაქის აშენებას. ეს არ იქნება არც დუბაი, არც სინგაპური, არც ჰონკონგი, არამედ ჩვენი მოქალაქეების ქალაქი.

პავლე კუბლაშვილის თქმით, ლაზიკა აშენდება აუცილებლად, რაც მეტ ინვესტიციების შემოსვლასთან, ახალი სანაოსნოს აგებასთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოსაგან დაფინანსებული კომუნიკაციების და საქალაქო ინფრასტრუქტურის ხარჯები არ აღემატება ხარჯების რაოდენობის 20 პროცენტს, კერძო ინვესტიციებით ფინანსდება საერთო ხარჯების 80 პროცენტი.

ჯონდი ბაღათურიამ ლაზიკას საარჩევნო ზღაპარი უწოდა. მისი თქმით ქვეყანაში ყვავის ელიტარული კორუფცია. აქ არა ინვესტიციები, არამედ „შავი ფული“ ჩაიდება, ხოლო ქართული ფული აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკაში იდება. ამ დროს ქვეყნის ეკონომიკა გაჩანაგებულია, დავკარგეთ სასაქონლო ბაზარი, ვკარგავთ შრომის ბაზარს. საქართველოში ქართველი კაცის ადგილს იკავებს თურქი, ჩინელი, ინდოელი, ინდონეზიელი. საქართველოს მოქალაქეებისათვის სამუშაო ადგილი აღარ რჩება. 385 მილიონი არალიკვიდური აქტივია ბანკებში. „საერთაშორისო გამჭირვალობამ“ აღმოაჩინა, რომ პრეზიდენტის დედას 1 ლარად გადაეცა საჯარო რეესტრის შენობა ქ. ბათუმში.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ურბანული პროექტი ითხოვს საერთაშორისო კონვენციის უგულვებელყოფას და 1300 ჰექტარი დაჭაობებული ადგილის ხელყოფას, სადაც 194 სახეობის გადამფრენი ფრინველების სადგომია. ეს არის პროპაგანდისტული გეგმა, რომელზეც მწვავე შეფასებები გაკეთდა ბათუმში. რა ადამიანური რესურსით უნდა შეივსოს ნახევარმილიონიანი ვირტუალური ლაზიკა?

დარბაზში თამაზ ტრაპაიძემ (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) დასვაკითხვა ქ. ლაზიკის სტატუსთან დაკავშირებით, რაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ექიმ ირინა გოგუაძის აზრით ავტონომიებმა უკვე გამოიღეს თავისი შედეგი სამაჩაბლოში, აფხაზეთში. მომავალში ლაზიკაშიც ხომ არ იქნება საშიში?

გაზეთ „ალიონის“ და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენლის ლევან მჟავანაძის კითხვები გარემოს დაცვის პრობლემებს და საერთაშორისო კონვენციებს უკავშირდებოდა, რაზედაც პავლე კუბლაშვილმა გასცა პასუხი, რომ გარემოს დაცვის საკითხებზე იმუშავებს ექსპერტთა ჯგუფი და ყველა სამუშაოებს ჩაატარებენ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ამ ტერიტორიაზე არსებულ ეკო სისტემას.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე დააფიქსირეს დარბაზის რეაქცია მათ კრიტიკულ შეძახილებთან დაკავშირებით. ერთ-ერთ მომენტში ბაღათურიამ საჯარო მოხელეებს „პროვოკაციულად“ სთხოვა, ხელი აეწიათ თუ ვინ იყო ლაზიკის აშენების მომხრე. დარბაზის უკანა რიგებში რამდენიმე „ფანატმა“ ხელი ასწია...

ჩვენ არანაირი ეჭვი შეგვაქვს **NDI**-ის მიკერძოებლობაში, მაგრამ სასურველი იყო დარბაზი მეტად დაბალანსებული ყოფილიყო, რაც ნამდვილად წაადგებოდა ამ საინტერესო და საპასუხისმგებლო თემის განხილვას.

## ილია ვაშაყმაძის განმარტება

***ამ დღეებში ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია ვაშაყმაძე შემდეგი სახის განმარტებას აკეთებს.***

ჩემი დანიშვნის დღიდან, მე შეხვედრებს ვმართავ როგორც მოსახლეობასთან, ისე პარტიულ აქტივთან, პირველ შემთხვევაში ეს გახლავთ ჩემი როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის კანონით გათვალისწინებული მოვალეობა, მეორე მხრივ კი მე ვარ ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. და ასევე კანონის ფარგლებში ვახორციელებ პარტიულ საქმიანობასაც. ზემოთ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით თარიღს და დროს დაზუსტებით ვერ ვიხსენებ. ეს ჩანაწერი სავარაუდოდ არის პარტიის ოფისში გამართული ერთერთი ბოლოდროინდელი ჩემი შეხვედრა, რომელსაც პერიოდულად ვმართავ და როგორც წესი, ეხება პარტიის რაიონული ორგანიზაციის ფორმირებას, მომავალ საარჩევნო ტაქტიკას და სხვა საორგანიზაციო საკითხებს.. ხოლო რაც შეეხება სიების შევსების საკითხს, კიდევ ერთხელ ვაზუსტებ, ეს შეეხება მხოლოდ ჩვენი პარტიული აქტივისტების მიერ მხარდამჭერების მობილიზაციას. დავძენ იმასაც, რომ როგორც წესი ეს მონაცემები მხოლოდ შიდა პარტიული მოხმარებისთვისაა და ბუნებრივია სასურველი არ არის მათი ჩვენი კონკურენტებისთვის ადვილად ხელმისაწვდომობა, მითუმეტეს როცა საუბარი მომავალ საარჩევნო ტაქტიკას შეეხება.

**მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია ვაშაყმაძე**

## მრეწველობის აღლუმი –„დამზადებულია საქართველოში“

26 მაისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გაიმართა მრეწველობის აღლუმი „დამზადებულია საქართველოში". აღლუმი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად თბილისის მერიის ინიციატივით ჩატარდა.

ერთი დღით დედაქალაქის მთავარი ქუჩა გადაიკეტა და საგასმოფენო სივრცედ იქცა. წარმოდგენილი იყო ყველა ტიპის ადგილობრივი წარმოების პროდუქტი. აღლუმის მიზანი ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია იყო. მონაწილეობის მსურველი 10 მაისამდე თბილისის მერიის ვებ-გვერდზე უნდა დარეგისტრირებულიყო.

აღლუმზე ოზურგეთი საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი, ოზურგეთლუდი, ანასეულის ჩაის ფაბრიკა და ვასაძის პური.

ამირან როყვა („ოზურგეთ ლუდის" დირექტორი): ჩვენი პოპულარიზაციისთვის კარგია, რომ არლუმში მოვიღეთ მონაწილეობა. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ისეთმა ფირმებმა, რომლებსაც მაღაზიების ქსელი აქვთ და რა თქმა უნდა ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის. წარმოდგენილი გვქონდა როგორც ლუდი ასევე ლიმონათი. პროდუქციამ მოწონება დაიმსახურა.

დასავლეთის აზრი ვიცოდით დაახლოებით ჩვენს პროდუქციასთან დაკავშირებით და თბილისმაც პირდაპირ ვიტყვი მოიწონა ჩვენი პროდუქცია.

ბიძინა ვასაძე (ვასაძის პური): ჩვენ წარდგენილი გვქონდა პური, ფუნთუშეული და სხვა ჩვენი საცხობის პროდუქტი. ეს იყო ჩვენი შესაძლებლობების წარმოჩენის კარგი შანსი. თბილისში გაიგეს, რომ შესაძლებელი ყოფილა გურიაში კერძოდ ოზურგეთში დამზადდეს ისეთი პროდუქტი როგორიც ჩვენია. ყველაფერმა, რაც წარდგენილი გვქონდა მოწონება დაიმსახურა. ვფიქრობ ეს ქვეყნის მასშტაბით ჩვენს პოპულარობას შეუწყობს ხელს.

გია ხუჭუა (ანასეულის ჩაის ფაბრიკა): ჩვენ წარდგენილი გვქონდა როგორც შავი ისე მწვანე ჩაის რამდენიმე სახეობა. არგია თუ მსგავსი აღლუმები მომავალ წლებ-

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე +16+26 | მზე +18+30 | ღრუბელი, ელჭექი +18+28 | მზე +18+29 | მზე, ღრუბელი +17+30 | ძლიერი წვიმა +15+25 | წვიმა +16+26 |
| 4 ივნისი ორშაბათი | 5 ივნისი სამშაბათი | 6 ივნისი ოთხშაბათი | 7 ივნისი ხუთშაბათი | 8 ივნისი პარასკევი | 9 ივნისი შაბათი | 10 ივნისი კვირა |

# კაცობრიობის ისტორიის „ ჩუმა “... ტრეფიკინგი

თემურ ბაქანიძე

...1997-1998 წლებში-შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, პირველად შევეჯახე ტრეფიკინგის ცოცხალ მაგალითს, რომელზეც მხოლოდ შორიდან და ბუნდოვნად მსმენოდა რაიმე...

...ნოემბრის თვე იყო. ამინდი ტიროდა. მორიგი- უშუქო ღამის შემდეგ, დასაძინებლად ვემზადებოდი. კარებზე დააკაკუნეს. მაშინ თემქის დასახლებაში ვცხოვრობდი- მე-11 მიკრო, მე-2 კვარტალი... გამაკვირვა ნაგვიანებმა სტუმრებმა. არ ვასახელებ მათ არც გვარებსა და სახელებს, არც ადგილს, საიდანაც არიან. სამნი იყვნენ : ერთი ქალიშვილის დედა, ბაბუა და მათი ოჯახის ახლობელი მამაკაცი იყო, რომელიც ჩემი ნათესავი არის. მან მოიყვანა ისინი და მთხოვა ერთ ამბავში დავხმარებოდი. ვკითხე — რა ხდება-თქო? ქალბატონმა მითხრა, რომ ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს, რომელიც დაიკარგა და უშედეგოდ ეძებს თვეზე მეტია...

ყურმილი ავიღე და პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს დავურეკე, რომელთანაც არა ჩემი პირადი მეგობრობა, არამედ სხვა ადამიანის ნაცნობობა მაკავშირებდა- გვყავდა საერთო მეგობარი...

შუაღამე იყო, როცა ბატონი ლ... და მისი 4 მეგობარი (ისინიც პოლიციის თანამშრომლები) ჩემთან მოვიდნენ. ბატონ ლ...-ს, დედამ შვილის ფოტო გადასცა, მოუყვა საქმის დეტალები და იმ ღამით დავიშალეთ... წასვლისას მან გამაფრთხილა, რომ ამ თემის შესახებ ,,არ დამერეკა მასთან ტელეფონზე და არც სამსახურში მისულიყავი...“

როცა სტუმრებს ვაცილებდი, ლ-მ გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

—ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს ქალიშვილი იმ სიაში- იმ ხალხთან ერთად იყოს, რომელიც საზღვარგარეთ იგზავნება. ჩემი ,,კანალები“ გამჩნია და შევამოწმებ... თუ იქ აღმოჩნდა, მაშინ ერთ აზრს აქედანვე შეეგუე...

სანამ საუბარს გააგრძელებდა, დაბნეულმა ვკითხე:

— ვინ იგზავნება და სად? ვერ გაგიგე ლ..., რაზე მესაუბრები, აზრზე არა ვარ...

მან დაღლილი სახით გამიცინა და მითხრა:

— შენ მიხვდი- ვინ და სად, უბრალოდ არ გინდა მიიხვედრო...არ გინდა დაიჯერო, რომ ამ ამბავმა შენს ცხოვრებაზეც გადაირბინა. დავიჯერო არ გაგიგია, რომ საქართველოში ხალხით ვაჭრობაა გაჩაღებული? ტრეფიკინგი გვესტუმრა საქართველოში მეგობარო — ტრეფიკინგი... იცი ვინ არის ამით დასაქმებული? რა საჭიროა სახელები, მოკლედ გეტყვი, ყოველი კვალი ,,ზემოთ“ მიდის, სადაც დიდი ჩინის სახელმწიფო მოხელეები ზილარიან... ასე, რომ თუ გავიშიფრებით, ჩათვალე რომ შენთვის და ჩემთვის მშვიდი ცხოვრება დამთავრდა...

ისინი წავიდნენ, მე კი არ ვიცი რამდენ ხანს ვიდექი წვიმაში გახვევბული და ერთ რამეზე ვფიქრობდი ,,ეს რას მოგვასწარი უფალო, ქართველი-ქართველს საქონელივით ყიდის. დავიჯერო არ ფიქრობს ამის ჩამდენი, რომ მათ გაყიდულებს ყავთ მშობლები, ოჯახები... ცხოვრება აქვთ ბოლოს და ბოლოს, რომლიდანაც დღეს ,,დაძინებულს“ იპარავენ და ხვალ იღვიძებენ სადღაც საშინელებაში, მონად ქცეულნი. ნეტავ მათი გამყიდველი კაცი, რას ყიდულობს იმ ფულით, რომელსაც ,,საქონელში“ იღებს?..ალბათ შვილებს ანებივრებს; მასწავლებლებთან ამზადებს, რომ სწავლა-განათლება მიაღებინოს და შემდეგ იცხოვროს.....მაგრამ სად იცხოვროს? სახელმწიფოში, რომელშიც ხალხს იპარავდა და თავისუფლებსა და პატიოსნებს, კახპა მონებად ჰყიდდა? ის კაცი, სხვა ქართველივით, სასმისით ხელში ალბათ ,,საყვარელ საქართველოს ლოცავს და ქართველ ერს“, რომლის შვილებს მონობისა და დამცირებისთვის იმეტებს.

მაინტერესებს მათივე ხედვა ნაციის მიმართ-თვითონ რას ფიქრობენ — ქართველები არიან? არა მგონია ამას ფიქრობდნენ, მათ იციან, რომ არიან ხალხი ნაციის გარეშე- ეშმაკის მსახურს ნაცია არ სჭირდება, ის ყველგან სატანაა, ამ შემთხვევაში ზედმეტ სახელად — ტრეფი-კინგი... ტრაფეის მეფე ალბათ, რომლის ტრაფეისაც ადამიანთა შეშინებული სახეები, დათრგუნული არსებობა და ცრემლში აზელილი სისხლი წარმოადგენს...

ამ ამბავის თხრობას მოკლედ დავამთავრებ. ჩვენ მივაკვლიეთ იმ გოგონას ზუსტად იქ, სადაც ვეძებდით-,,ზემოთ“-ძალიან მაღლა, სადაც ქართული მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხები წყდებოდა ედუარდის დროს. დამავიწყდა მეთქვა, მოპარვის მომენტში გათხოვილს, პატარა ბიჭის დედას, რომელსაც მისი ქმარი ცალკე არხებით დაეძებდა, მაგრამ ვერსად პოულობდა. ის დაუბრუნდა ოჯახს. თქვენში საშინელება, რომ არ გავაღვიძო, არ აგიღწერთ იმ პატარა ბიჭის სახეს, რომელმაც დედა იცნო, ხოლო დედა მას თვეობით ვერ ცნობდა და ვერ იხსენებდა, თუ ვინ იყო ის პატარა, რომელიც დილიდან საღამომდე მისკენ ხელებ გაშვერილი იდგა და ტირილით მოითხოვდა მის ალერსს...





**გამოკვეთილი დანაშაული-დანაშაულთა შორის... დანაშაული, რომელიც საშინელი ვირუსივით მოედებია დედამიწის ყველა კუთხეს და იმით გამოირჩევა სხვა დანარჩენებისგან, რომ აქ მოხვედრილი ადამიანები აღარ არიან ადამიანები- ისინი თავიანთი სურვილის წინააღმდეგ მხოლოდ არსებობენ და მხოლოდ- კვდებიან...**

რამდენიმე თვე, ის ადამიანი უხმოდ იჯდა საწოლზე და ღია ფანჯარიდან აკვირდებოდა სამყაროს, რომელიც მისთვის მხოლოდ ორ ფერში გადაწყვიტა დიდმა შემოქმედმა — შავსა და თეთრში. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ეს ადამიანი არ ლაპარაკობდა. ... დღეს იგი ,,მოჩვენებითი ბედნიერების“ შვილია და სახეც ულიმის — ულიმღამოდ, თვალების სიღმეში კი, შიში აქვს გამეფებული- შიში უხილავისა, მაგრამ რეალურისა, რომელიც არის ჩვენს ცხოვრებაში, არის ჩვენში, როგორც ღმერთი და როგორც სატანა...

... კასპის რაიონში, ერთ-ერთ სოფელში ქელეხში ვიმყოფებოდი და გავიცანი მამაკაცი, რომელიც ჩეჩნებმა ორჯერ მოიპარეს ქართველთა დახმარებით. ორჯერ გამოსცადა საკუთარ თავზე ათი მეტრი სიმაღლის ამოთხრილ ორმოში გდება რამოდენიმე კვირითა და თვითაც... ორმოში, სადაც ტუალეტი შიგვე ქონდა და როცა მოშივდებოდა პურს ზემოდან- ამ ტუალეტში უგდებდნენ.

ეს ადამიანი, მაშინ 65 წლის მოხუცი, თვალზე ცრემლით იხსენებდა ყოველივე ამას და ნიკაპი ბრაზით უცახცახებდა. მისი ფინანსებითა და ცხოვრების ცოდნით, ის დიდ საქმეებს წყვეტდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მის ოჯახს ორჯერ გადაახდევინეს მილიონი დოლარი. როგორც თვითონ ამბობდა, ფულზე იმდენად არ ტკიოდა გული, რამდენადაც იმ დამცირებაზე, რაც ტყვეობისას გადაიტანა კაცმა, რომლის სიტყვით კეთილი საქმეები კეთდებოდა ყოველთვის და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. ეს ,,ფულიანი“ ბიძა, უბრალო ხალხის სიყვარულში იხარჯებოდა მუდამ და უბრალოთა მფარველი იყო- დამხმარე მათი. მის უბრალოებაზე ისიც მეტყველებს, რომ მე- უბრალო ადამიანმა, უბრალო ადამიანის გასვენებაში გავიცანი ის, სადაც იმისათვის იყო მისული, რომ გარდაცვლილის ოჯახს დახმარებოდა...

**ტ-რ-ე-ფ-ი-კ-ი-ნ-გ-ი !!!** ვინ არიან ხალხი — მისით დაკავებულნი? ვიფიქრე ამ თემაზე და საბოლაო პასუხს ვერ მივაკვლიე. ვინ არიან ისინი, ვინც სხვათა წამების, ცრემლებისა და სისხლის წვეთების ფასად მდიდრდებიან და იმ ფულით დროს ატარებენ, ოჯახს ინახავენ, საზოგადოებაში ადგილს იმკვიდრებენ და ალბათ ეკლესიაშიც დადიან?

ვინ არიან ისინი, ვინც ყველანაირი თბილი და ტკბილი გრძნობების გვერდის ავლით, ადამიანთა მიმართ გამოჩენილი არაადამიანობით ცხოვრობენ და ცხოვრობენ ჩვენს გვერდით, კაცების გვერდით- კაციჭამიებად და სისხლის მწოველებად ქცეულნი? ახალი სახის ცხოველები არიან, ვინც ადამიანის ნიღაბი მოირგო, შეისწავლა ჩვენი ქცევები, ადათები, წესები, ჩვეულებები და რისხვად დაგვატყდა თავს ადამის მოდგმას? დავუშვათ ასეა, მაგრამ რისთვის და რატომ უფალო?!

ოზურგეთელმა ქალბატონმა — **მანანა ტაბატაძემ,** რომელიც თურქეთში იმყოფებოდა რამოდენიმე დღე, შემდეგ კი შეშინებულმა დატოვა იქაურობა და სახლში მალულად ჩამოვიდა, რათა მისთვის არ წაერთმიათ პასპორტი, რომლის წართმევის შემდეგ იწყება იქ ,,ყველაფრის“ წართმევა პატიოსნებიდან დაწყებული, ბევრი მაგალითი მოიყვანა იმ უმსგავსო ცხოვრებისა, რომლითაც ქართველი ქალები თურქეთში ცხოვრობენ და ბევრ მათგანს იმათგან აიძულებენ იცხოვრონ სხვისი კანონებით, სხვისი მორალით, ესე იგი, მორალისა და კანონის გარეშე...

საუბარში ქალბატონმა მანანამ ტირილით გაიხსენა ის ფაქტი, რომ დაუმორჩილებლობის გამო, მისი ,,უფროსობიდან“ ერთ-ერთმა მამაკაცმა, ხელითაც გაიწია მისკენ და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაც კი დაუპირა... მინდა ავღნიშნო, რომ ხალხი ვინც იძულებაში ჩაგდებას უპირებდნენ მას, რამოდენიმე ქალი და მამაკაციც (სახელად თემური), რომელიც მისკენ ხელით გაიწია, ოზურგეთის მკვიდრნი არიან. როცა ოზურგეთლები მასზე ძალადობდნენ, ამ დროს დახმარების ხელი თურქებმა გაუწოდეს, რომ პასპორტი არ წაერთმიათ და ავტოსადგურამდე ჩაეღწია.

ქალბატონ მანანას მონაყოლი ამბავი ბევრ კითხვას ბადებდა და ამ დროს, ყოველთვის საფიქრალია მონათხრობის სისწორის შესახებ მიღებული რაიმე ინფორმაცია... დავინტერესდით, თუ როგორ შეძლო თავი დაეცვა მათგან. მას დაეხმარნენ. როგორც თვითონ თქვა: ,,ორი მამაკაცს შევეჩხე შუაღამისას, როცა იმათგან გავრბოდი და ისინი დამეხმარნენ ამეღო ავტობუსის ბილეთი. შემდეგ კი, მყარაულობდნენ იმ დრომდე, სანამ ავტობუსი ვაგზლიდან არ გავიდა...“ მან დაგვისახელა ერთ-ერთი მამაკაცის, სამეგრელოს მკვიდრის, სოფელ ურთაში მცხოვრების, ვინმე — **გივი ბარამიას** სახელი და გვარი. გაზეთი ,,ალიონი“ დაუკავშირდა ამ ადამიანს და მისგან მიღებული ცნობებით დადასტურდა, რომ ქალბატონი მანანა შუაღამისას გაურბოდა ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც გაავებულნი იმით, რომ ის არ დაეთანხმა მათ - მიეცა მათთვის პასპორტი და მათი ნებით გადაწყვეტილიყო მისი თურქეთში საქმიანობა, თუ რითი იქნებოდა დაკავებული, უპირებდნენ ძალდატანებით თურქეთში დატოვებას. ეს ადამიანი დაეხმარა ქალბატონს, აეღო ბილეთი და მფარველობდა მანამ, სანამ ავტოვაგზალიდან არ გამოემგზავრა საქართველოში. ქალბატონის მდგომარეობას, შეხვედრის მომენტში, ის შემდეგნაირად აღწერს:

— ,,იყო ძალიან შეშინებული და დათრგუნული. თუმც არავინ მოსულა იქ მის საძებრად, აშკარად ეტყობოდა, რომ ვიღაცაებს გაურბოდა და ემალებოდა. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. ისეთი გასაცოდავებული სახით გვთხოვა დახმარება, რომ გული ამიტირდა. მის სიპატიოსნეში ეჭვი არც შემპარვია — აშკარად ეტყობოდა, რომ ,,ცუდი ბიჭები“ დაეძებდნენ. შვილივით მივიღე და დავეხმარე გამოპარულიყო...თურქეთში ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანებს იპარავენ, აიძულებენ მონობასა და გარყვნილებაში იცხოვრონ. დავეხმარე და ბედნიერი ვარ, რომ ერთი სიცოხლე სიკვდილს, თუ არა, მწარე სინამდვილეს ნამდვილად გადავარჩინე...“

მივმართოთ მინდა იმ მამაკაცს:

— ღვთის პირიდან გადავარდნილო არსებავ!!! მოგმართავ ქართველი მამაკაცი თემურის, კახას, ნუგზარის, პეტრეს, გიორგის, იოსებისა და პავლეს სახელით!!!

საქართველოში იბადებიან მამაკაცები, რომელსაც თევდორეს არქმევენ; არქმევენ დემეტრეს; არქმევენ ცოტნეს... ჩვენ შეჩვეულნი ვართ მათ და მათ გმირობებს- ჩვენ არ გვიკვირს მათი, იმიტომ , რომ დედამ გვასწავლა მამულისა და ქართველი ქალის სიყვარული, რომელიც, რაც არ უნდა გარყვნილი იყოს, ვიღაცის და არის, ვიღაცის დედა და ვიღაცის მეუღლე. ჩვენ ღმერთმა დაგვავალა- მიდი და ფეხი დაბანეო...შენ კი მათზე ხელით იწევ? ოდესღაც, სადღაც შემძვრალი ხმას გაიგებ, ხმამაღალ შეძახილებს ცოტნესი, დემეტრესი, თევდორესი, იოსებისი და გიორგისი... გაიგონებ, თუ თასებით ხელში, როგორ დავლოცავთ მანდილოსანს, რომელსაც ცხოვრების სიდუხჭირემ კაბაზე გამოაბა ოჯახის გასაჭირი და ცხრა მთას მიღმა გადახვეწილს, შენნაირი ძმების იმედად დაგდებულს, როგორც წმინდანს ისე დავლოცავთ ქართველი ბიჭები, ქართველი კაცები... ჩვენი თასების ჭახა-ჭუხის დროს, თუ შეგნიშნა შენ — არარაობა, იმ ქართველმა მანდილოსანმა სადღაც შემძვრალი და მოგვითითა შენზე სიტყვებით : ,,აი ის, ვინც საცემად გამიმეტა მაშინ, როცა ძმა მჭირდებოდა გვერდშიო“, როგორ ფიქრობ- ,,ქართველო ვაჟკაცო“, რა მოელის შენს მარჯვენს? რა მოგელის მთლიანად შენ? ეხ, მეცოდები, მაგრად მეცოდები და ერთ რამეს გირჩევ : იყავი მანდ, სადაც ხარ... არა ხარ შენ ქართველი- შენ საქართველოს მტერი ხარ, ერის მტერს კი, ჩვენ არ ვეფერებით : ცოტნეები, დემეტრეები და თევდორეები... ჩვენ, თბილი წყალი გვაქვს გამზადებული იმ გამწარებული ქართველი მანდილოსნებისთვის, ვინც მართლა გარყვნილებაში გაატარა ცხოვრების გარკვეული ნაწილი- გადახვეწილმა და გამწარებულმა, რათა ამ წყალით ფეხები დავბანოთ მათ და წარმოვშვათ მათში ცრემლი, რომელიც გადმოუარს ზღვა თვალებიდან და ყველა ცოდვას ჩამორეცხავს, რომ შემდეგ ცრემლით განბანილი სულითა და ჩემი დაბანილი ფეხებით, იაროს ქართულ მიწაზე ჩემი დის ტიტულით და მწარე მოგონებებში დარჩეს ცხოვრების ის მონაკვეთი, რომელშიც ისედაც გამწარებულს, შენნაირი ,,ძმები“ უარესად ამწარებდნენ...

...ადვოკატმა, **კახა ჩავლეიშვილმა,** ტრეფიკინგის ხელისშემწყობ პირობებზე მელაპარაკა, რომელიც სახელმწიფოში არსებობს:

— უმუშევრობის გამო ბევრი ადამიანი ტოვებს საქართველოს,-აღნიშნა მან,- მიდიან, განსაკუთრებით ქალბატონები. მიდიან არანაირი ინფორმაციის მქონენი, თუ სად და ვისთან? არ იციან, რა ფასად და რა უნდა აკეთონ...მიდიან და ამით ნებაყოფლობით მონობაზე აწერენ ხელს. ასეთი ადამიანის დაუფლება ადვილია მათთვის, ვინც არის ამით დაინტერესებული და ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ქრებიან, იკარგებიან და იშვიათად, თუ ვინმე გამოჩენილა დაკარგვის შემდეგ.

ბატონმა კახაბერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ქვეყანაში არ რეაგირებს კანონი შრომის დაცვის შესახებ, რომელიც თავის მხვრივ ხელს უწყობს მიგრირებული მოსახლეობის ზრდას.

— ჩვენი მოსახლეობა, აქვე, საქართველოშივე არიან დაუცველები და რა გასაკვირია, თუ მათ საზღვარგარეთ დაიჭერენ, მოიპარავენ და მონობისთვის გაიმეტებენ. არ არის დაცული მათი უფლებები დასაქმების ადგილებზე, სადაც გროშების ფასად ამუშავებენ. ოდნავი უკმაყოფილების გამოთქმისთვის, შეუძლიათ მათი სამსახურიდან დათხოვა ახსნა-განმარტებების გარეშე. უუფლებონი არიან საკუთარ სახელმწიფოშივე,- აღნიშნა მან...

ოზურგეთის შინაგან საქმეთა სამმართველოში, რაიმე ცნობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ, არ გააჩნიათ, არ ფლობენ, იმიტომ, რომ არავინ მისულა იქ საჩივრით (ეს ცნობა არ არის პრესს-ცენტრიდან მიღებული- მეგობრის ჩვენებას ვენდე, რომელიც ოფიცერია ამავე სამმართველოში)...

არადა გვყავს ოზურგეთში ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს ,,ვიღაცაების“ არაადამიანობა და გამოსცადეს ისეთი ძალით, რომ ბევრს გახსენებაც არ სურს, ბევრს კი ეშინია თქვას რაც გადახდა თავს-რცხვენია... ხომ გაიგეთ, ჩვენთვის მოყოლა ეშინიათ იმისი, რაც საკუთარ თავსა და ზურგზე იწვნიეს...

ტრეფიკინგი...ალბათ სულით დაავადებაა ადამიანისა, რომლის დროსაც ის კარგავს ადეკვატურობის შეგრძნების უნარს და ვერ აღიქვამს, რომ მისნაირვე ადამიანთან აქვს საქმე. ან კიდევ, თუკი ხვდება, რომ ადამიანთან აქვს საქმე, ხვდება იმასაც, რომ თვითონ არის არაადამიანი. ასეთები არიან, იყვნენ და იქნებიან მანამ, სანამ არ ამოიძირკვებიან ძირფესვიანად.

როცა რაიმე პრობლემაზე ლაპარაკობ, ამ პრობლემის გადაჭრაზეც უნდა გქონდეს ნაფიქრალი და თუ საჭიროება მოითხოვს ნაფიქრალ-ნატირალიც... პირადად მე, კიდეც ვიფიქრე და ცრემლიც ვიგრძენი გულში ჩაღვრილი, მაგრამ ვერა და ვერ მივაკვლიე გამოსავალს, ეს პრობლემა მსოფლიო მასშტაბისაა. ერთადერთი, რამაც აზროვნებაში გამიელვა, მათთან დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებაა საჭირო.

ბატონმა კახა ჩავლეიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ტრეფიკინგი პირველ ადგილზე დგას ,,შავი“ კაპიტალის სიაში, ნარკოტიკებზეც წინც კი. მსოფლიო მასშტაბით ის ,,დამსახურებულად“ დგას პირველ ადგილზე...

,,კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...“ ვამთავრებ სტატიას და მაინც ვერ მიპოვია პასუხი, როგორ უნდა ებრძოლო ამ საშინელებას ადამის მოდგმამ, რომელიც ბევრად ორგანიზებულია იმ სამსახურებზე, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით მას ებრძვის... პერველი ადგილი შავ კაპიტალში-ეს ტიტული დაუმსახურებლად არ მიეცემოდა ,,ტრეფიკინგს“, მართლაც-პირველი, რომ არ იყოს... რაც შეეხება უფლის მოძღვრებას მიტევების შესახებ, ეს მათ არ ეხებათ-ისინი სატანით მოცულები არიან და როგორც ,,სარეველა, ისე უნდა მოითხაროს და

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
## (15 ტერიტორიული ერთეულის პრიორიტეტები 29.05.2012

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასმელი წყლის სისტემები | 119 921 |
| 2 | გზები | 146 072 |
| 3 | ხიდები და მილხიდები | 39 976 |
| 4 | სანიაღვრე არხები | 1 658 |
| 5 | ნაპირსამაგრი სამუშაოები | 10 650 |
| 6 | მდინარეების კალაპოტების გასწორხაზოვნება | 1 447 |
| 7 | საყანე ფართობების შეღობვა | 7 330 |
| 8 | სამელიორაციო არხების მოწყობა | 11 971 |
| 9 | ადმინისტრაციული შენობების რემონტი | 1 699 |
| 10 | საბავშვო ბაღების რემონტი | 116 775 |
| 11 | ამბულატორიის რემონტი | 2 688 |
| 12 | გარე განათება | 69 230 |
| 13 | სარიტუალო სახლების მოწყობა | 0 |
| 14 | სპორტული მოედნები | 35 028 |
| 15 | სპორტული დარბაზები | 23 406 |
| 16 | ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა | 11 599 |
| 17 | სკვერების კეთილმოწყობა | 1 614 |
| 18 | სასაფლაოების შემოღობვა | 10 011 |
| 19 | მოსაცდელები | 23 178 |
| 20 | სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა | 3 192 |
| 21 | კულტურის სახლები | 1 214 |
| 22 | კომპიუტერული ტექნიკის შეძენა | 6 400 |
| 23 | ელ. განათების რემონტი | 0 |
| 24 | სადრენაჟო არხის მოწყობა | 0 |
| 25 | ახალგაზრდული ცენტრის კეთილმოწყობა | 0 |
| 26 | დაპროექტება | 0 |
| 27 | კანალიზაცია დასველი წერტილების მოწყობა | **7 074** |
| 28 | მასალების შეძენა | **2 324** |
| | | |
| | სულ ჯამი | 654 456 |

# სოფლის ხელშეწყობის პროგრამა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
## 1 381 415 ლარი 2012 წელი

| მთლიანი თანხა | სოფელი | თანხა | პროექტის დასახელება | |
|---|---|---|---|---|
| **58015** | **დაბა ლაითური** | 4187 | კორპუსებიდან წყალგამშვები მილების მოწყობა (მე-VI რ-ნი, 6 კორპუსი) | 27 |
| | | 1115 | საბავშვო ბაღის შეკეთება (ცენტრი) | 10 |
| | | 5771 | საბავშვო ბაღის შეკეთება (IX რაიონი) | 10 |
| | | 3500 | მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა (VII რაიონი) | 19 |
| | | 23406 | სპორტული დარბაზის მოწყობა | 15 |
| | | 1200 | ელ. მრიცხველი (კომპლქ/ტექნ. პირობა სპორტ 1ც. / 2ც გარე განათება) | 23 |
| | | 14531 | გარე განათება | 12 |
| | | 4305 | გზის შეკეთება | 2 |
| **45927** | **დაბა ნარუჯა** | 501 | სანიაღვრე არხის მოწყობა | 4 |
| | | 6081 | ბავშვთა ბაღის შეკეთება | 10 |
| | | 2691 | წყალსადენის ქსელისათვის მასალების შეძენა | 1 |
| | | 1231 | სპორტული მოედნის შესაღობად მასალების V რ-ნი შეძენა (მავთულბადე, ბოძები) | 14 |
| | | 5998 | 3 სარიტუალო დარბაზისათვის ინვენტარის შეძენა | 16 |
| | | 11680 | წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა | 1 |
| | | 7584 | მინი სპორტული მოედნის მოწყობა I რაიონი | 14 |
| | | 7584 | მინი სპორტული მოედნის მოწყობა VI რაიონი | 14 |
| | | 2579 | გზის მოხრეშვა. | 2 |
| **25314** | **ურეკი** | 10510 | გარე განათების მოწყობა | 12 |
| | | 1550 | წყალსადენის მოწყობა (მაღლა ურეკი) | 1 |
| | | 1845 | წყალსადენის მოწყობა (მესხის ქუჩა) | 1 |
| | | 1614 | საბავშვო ატრაქციონების მოწყობა | 17 |
| | **16758** | 6000 | საბავშვო ბაღის შეკეთება | 10 |
| | **წყვერმაღალა** | 1512 | ურეკის საფეხბურთო კლუბისათვის ფორმების შეძენა | 16 |
| | **8556** | 2284 | გზის შეკეთება | 2 |
| **33569** | **ასკანა** | 1699 | ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე წინა ფასადის ფანჯრების შეცვლა. | 9 |
| | | 967 | სანიაღვრე არხის მოწყობა | 4 |
| | | 2446 | მილხიდის მოწყობა | 3 |
| | **15753** | 5451 | საბავშვო ბაღი ასკანა | 10 |
| | **ქწერი** | 4575 | საბავშვო ბაღი მზიანი | 10 |
| | **7953** | 2704 | წყალსადენის წერტილოვანი შეკეთება | 1 |
| | **მზიანი** | 2997 | წყალსადენი ქსელის შეკეთება (მზიანი) | 1 |
| | | 2244 | გარე განათება | 12 |
| | **9863** | 10487 | გზის შეკეთება | 2 |

# ჩემო პაწაებო!



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ულოცავ საქართველოს მომავალს, ბავშვებს.

გისურვებთ უღრუბლო



ზეცას, ბედნიერ ბავშვობას, ჯანმრთელობას. ისწავლეთ და თქვენით იამაყოს ჩვენს ქვეყანას.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

დიდი სიყვარულით _ გოგა ტრაპაიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის დირექტორი.



ანი და კესო ჩავლეშვილები



ელენე ქართველიშვილი

# „იცოდნენ, რომ კარგს არაფერს ვეტყოდი და პრეზიდენტს არ შემახვედრეს"

მარი კოძოევი



77 წლის ქენია ტეფნაძე შვილთან, ანზორ ტეფნაძესთან ერთად უკვე რამდენიმე წელია გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ქოქოძის ქუჩაზე №2-ში პრიმიტიულად მოწყობილ ორ ოთახში ზამთარი გაჭირვებით გამოიარეს. ახლა მათი ერთადერთი საფიქრალი ისაა, რომ მომავალი ზამთრისთვის მაინც შეძლონ შედარებით მყუდრო ბინის მოწყობა. პრობლემების მოგვარებაში დახმარებისთვის ტეფნაძეებმა არაერთხელ მიმართეს შესაბამის სამსახურებს.

ქენია ტეფნაძემ 2008 წელს შვეიცარული ფონდიდან მიიღო მატერიალური დახმარება სამკურნალოდ 600 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტიდან 2010 წელს 2 500 ლარი საცხოვრებელი სახლის რემონტისთვის. მაგრამ იმის გამო, რომ ქალბატონი ქენია პირველი ჯგუფის ინვალიდია და ძვირადღირებული მედიკამენტები ესაჭიროება თანხის დიდი ნაწილი სწორედ მედიკამენტების შეძენაში დაეხარჯა და სახლი კვლავ მოუწყობელი დარჩათ.

საცხოვრებლის გარდა ტეფნაძეებს საკვების პრობლემაც აქვთ. უფასო სასადილოთ სარგებლობისთვის

▶▶▶ გვ-5

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 45344 | ბოხვაური | 3941 | სპორტული მოედნის შეკეთება. | 14 |
| | | 2706 | გზის ორმული შეკეთება | 2 |
| | 31313 | 7072 | გარე განათების მოწყობა | 12 |
| | | 3132 | მილხიდის შეკეთება | 3 |
| | | 400 | ელ მრიცხველი (კომპლექტი/ ტექნიკური პირობა) | 23 |
| | ჭალა | 952 | წყლის ძრავები ჭაბურღილებზე 2 ცალი ჭალა | 1 |
| | | 18361 | გზის დახვნა (ბოხვაური / ჭალა) | 2 |
| | | 1882 | (ჭალის უბანი) გაბიონის მოწყობა. | 5 |
| | | 2685 | ბავშვთა ბაღის შეკეთება. | 10 |
| | 14031 | 4214 | გზის მოხრეშვა (ბოხვაური / ჭალა) | 2 |
| 52129 | დვაბზუ | 1300 | სოფ. დვაბზუში ამბულატორიის შეკეთება. | 11 |
| | | 4089 | სოფ. დვაბზუში საბავშვო ბაღის შეკეთება. | 10 |
| | | 6577 | სოფ. გალმა დვაბზუში საბავშვო ბაღის შეკეთება. | 10 |
| | | 3192 | სოფ დვაბზუს ცენტრის კეთილმოწყობა. (განათებისა და ჟორეს მოწყობა) | 20 |
| | | 1224 | მილხიდის მოწყობა (ბასილაშვილის ეზოსთან) | 3 |
| | 33700 | 891 | მილხიდის მოწყობა (ტაკიძის ეზოსთან) | 3 |
| | გალმა დვაბზუ | 483 | მასალების შეძენა (ცემენტი, ღორღი) | 28 |
| | | 3000 | წყლის ძრავი (ნასაკირალი) | 1 |
| | | 21794 | განათება | 12 |
| | | 2400 | ელ. მრიცხველი (ტექ პირობა ნც) | 23 |
| | 18429 | 7179 | გზის შეკეთება | 2 |
| 20188 | თხინვალი | 3976 | ბავშვთა ბაღის შეკეთება. | 10 |
| | | 3345 | გზის გამაგრებითი სამუშაოები (ჯარგვალი) | 2 |
| | | 7824 | ზედუბნის უბანში გზის მოწყობა ბეტონით | 2 |
| | | 1469 | ხიდის ბურჯის გამაგრება | 3 |
| | | 190 | სანიაღვრე არხის მოწყობა | 4 |
| | 20188 | 3383 | გზის შეკეთება | 2 |
| 42241 | კონჭკათი | 3890 | გზის გამაგრებითი სამუშაოები კატისციხის უბანი (ჯარგვალი) | 2 |
| | | 4268 | გზის გამაგრებითი სამუშაოები მოქიას ეზოსთან (ჯარგვალი) | 2 |
| | | 1541 | მასალების შეძენა სასაფლაოს შესაღობად | 18 |
| | 27958 | 2777 | მილხიდის შეკეთება (სანიჩქალას უბანი) | 3 |
| | განთიადი | 1477 | სველი წერტილის შეკეთება | 27 |
| | | 20000,0 | საბავშვო ბაღის შეძენა (შეკეთება) | 10 |
| | 14283 | 8287,9 | გზის შეკეთება. | 2 |
| 51890 | ქ. მაკვანეთი | 5457 | საბავშვო ბაღის შეკეთება | 10 |
| | 13277 | 3540 | ხიდის გამაგრება გაბიონით (მერეს უბანი) | 5 |
| | | 2817 | წისქვილის არხის გვერდულის მოწყობა გაბიონით (ბაღის უბანი) | 5 |
| | | 1214 | კულტურის სახლის ეზოს კეთილმოწყობა | 21 |
| | | 200 | სპორტული მოედნისათვის ინვენტარის შეძენა | 16 |
| | | 314 | ხიდის შესკეთებლად მასალების შეძენა | 3 |
| | | 1290 | გარე განათების მოწყობა | 12 |
| | ზ. მაკვანეთი | 9642 | გზის მოწყობა ბეტონით (ზეგანი, ეკლესიასთან) | 2 |
| | 31037 | 12030 | გზის მოწყობა ბეტონით (ჭალის უბანი) | 2 |
| | გოგიეთი | 8089 | წყალმომარაგებისათვის მასალების შეძენა | 1 |
| | | 7297 | წყალმომარაგების ქსელი მოწყობა | 1 |
| | | 7297 | წყალმომარაგების ქსელი მოწყობა | 1 |
| 29699 | მთისპირი 8569 | 14089 | წყალსადენი მაგისტრალის შეკეთება (მგელაძის ეზოსთან) | 1 |
| | | 5405 | წყალსადენი მაგისტრალის შეკეთება (შარაშიძის ეზოსთან) | 1 |
| | | 2117 | საბავშვო ბაღის ინვენტარის შეძენა | 16 |
| | ოქროს ქედი | 750 | წყალსადენი ქსელის შეკეთება (მეაგანაძე ეზოსთან) | 1 |
| | 6161 | 1565 | წყალსადენი ქსელის წერტილოვანი შეკეთება | 1 |
| | განის ქედი 9260 | 2552 | წყალსადენი ქსელისათვის მასალების შეძენა | 1 |
| | უკანავა 5709 | 3221 | გზის შეკეთება. | 2 |
| 35707 | ნაგომარი | 6002 | სოფ ნაგომარში ბავშვთა ბაღის შეკეთება | 10 |
| | 9775 | 4680 | სოფ. ნაგომარი (ცენტრში) ხიდის საფარის მოწყობა ასფალტობეტონით | 3 |
| | | 917 | სოფ. ნაგომარი (ნაგომრის უბანი) მილხიდის მოწყობა იური წიტაიშვილის სახლთან | 3 |
| | | 4984 | სოფ. ნაგომარი საყანე ფართობების შესაღობი მასალების შეძენა | 7 |
| | | 1410 | სოფ ნაგომარის ცენტრში სველი წერტილის შეკეთება. | 27 |
| | [illegible] 8267 | 1792 | სოფ. ნაგომარი (ჟანაურა) საავტომობილო გზის შეკეთება | 2 |
| | [illegible] 8393 | 4598 | გზის შეკეთება | 2 |
| | შუაისნარი | 400 | მრიცხველი (კომლექტი / ტექ. პირობა) | 23 |
| | | 2411 | სოფ ნაგომარში (შუაისნარი) მილხიდთან გაბიონის მოწყობა | 5 |
| | 9272 | 8513 | სპორტული მოედანი | 14 |

# სალუქვაძე ფიქრობს, რომ არსებულ ხელისუფლებას მომავალი არ აქვს

მარი კოძოევი




კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალი ერთ-ერთი პარტიის, თავისუფალი დემოკრატების ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თემურ სალუქვაძე ჟურნალისტებს შეხვდა. თუ აქამდე პრესკონფერენციებს პარტიის ოფისში მართავდა, ამჯერად დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გადაინაცვლა.

შეხვედრაც ამ საკითხზე საუბრით დაიწყო. „ამაში უჩვეულო არაფერია, არ გეგონოთ რამე ინტრიგას აქვს ადგილი. პრესკონფერენციის გამართვას მომავალში საკრებულოშიც კი ვაპირებო"-თქვა მან.

სალუქვაძის პრესკონფერენციას ერთი კონკრეტული თემა არ ქონია. ისაუბრა რამდენიმე სხვადასხვა საკითხზე. მაგალითად თბილისში გამართულ ქართული ოცნების მშვიდობიან აქციაზე. „თბილისის მოსახლეობამ ამ ხელისუფლებას განაჩენი გამოუტანა. ერთ მშვენიერ დღეს ეს გურიაშიც მოხდება. ამაში ახალი არაფერია. დღევანდელ ხელისუფლებას მომავალი არ გააჩნია."-აღნიშნა სალუქვაძემ, თან ადგილობრივ ხელისუფლებას რჩევა მისცა:-„ ორი გზა გაქვთ ან უნდა იდგეთ საკუთარი ხალხის გვერდით ან დარჩეთ იმ ჭაობში, რომელშიც ხართ"-თქვა მან ხელისუფლების მისამართით.

ისაუბრა იმ შენობის შესახებ, რომელშიც პ.ს.პ.-ს კლინიკა უნდა განთავსებულიყო. სალუქვაძის თქმით მოსახლეობამ არ იცის რეალურად რა დანიშნულება აქვს შენობას და ამასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე ისაუბრა.

დემოკრატების ლიდერი შეეხო თეატრალურ მოედანზე მომდინარე სამუშაოებსაც. მისი თქმით იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული ადგილი პარკინგისთვის.

სალუქვაძე აღნიშნულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ შეეხო წყალმომარაგების საკითხსაც. აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ კუთხით ოზურგეთში. ხოლო რამდენიმე წლის წინ პრობლების მოგვარებისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა.

პრესკონფერენციაზე თემურ სალუქვაძემ ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა.

# ღია პირველობა ჩოგბურთში




გურიის ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ოზურგეთის კორტებზე ჩატარდა ღია პირველობა ჩოგბურთში. მასში მონაწილეობდა 16 სპორტსმენი.

პირველობა საინტერესოდ წარიმართა და ფინალში მამუკა კილაძე და დავით გოგოტიშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა მამუკა კილაძემ (2:6, 7:5, 7:6)და გურიის ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწესებულ გარდამავალ თასს დაეუფლა.

ფინალურ ეტაპზე მოსპარეზე სპორტსმენები ოლიმპიური კომიტეტის წარმოადგენლებმა დააჯილდოვეს თასით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 104650 | ზ. ნატანები | 1388 | ამბულატორიის შეკეთება (ცენტრში) | 11 |
| | | 888 | აუზის ამორეცხვა | 1 |
| | | 11128 | საბავშვო ბაღის შეკეთება (ცენტრი) | 10 |
| | | 24859 | საბავშვო ბაღის შეკეთება (ზემო ნატანები) | 10 |
| | 34681 | 5824 | წყალმომარაგებისათვის მასალების შეძენა | 1 |
| | ქვ. ნატანები | 2308 | სპორტული დარბაზის წყალსადინარი არხების და მე-12 უბანში მოედანზე ფეხბურთის კარებების მოწყობა. | 14 |
| | | 9834 | წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. (მე-16 უბანი) | 1 |
| | | 15390 | წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. (მე-2 უბანი) | 1 |
| | | 800 | ელ. მრიცხველი ჭაბურღილებისათვის | 23 |
| | 64574 | 5621 | ხიდის შეკეთება | 3 |
| | შეკვეთილი | 14000 | მოსაცდელები (4 ცალი) | 19 |
| | 5395 | 12610 | გზების შეკეთება (შეკვეთილი / ნატანები) | 2 |
| 25822 | სილაური | 16017 | ხიდის შეკეთება | 3 |
| | | 2346 | საყანეებისათვის ბოძების შეძენა | 7 |
| | | 459 | ბავშვთა ბაღისათვის მუსიკალური ცენტრისა და სათამაშოების შეძენა. | 16 |
| | | 7000 | გზის შეკეთება | 2 |
| 46445 | ცხემლისხიდი | 1447 | მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება | 6 |
| | | 2927 | სალუქვაძეების უბანში გზის შეკეთება (ბეტონით) | 2 |
| | | 3009 | ბავშვთა ბაღის შეკეთება | 10 |
| | | 3536 | ჭაბურღილის მოწყობა ცენტრში | 1 |
| | | 1314 | თოვლის საწმენდი მისაბმელების დამზადება | 16 |
| | | 8943 | გარე განათების მოწყობა | 12 |
| | 17613 | 1200 | ელ მრიცხველი 3 ცალი | 23 |
| | უჩხუბი | 5891 | სასაფლაოების შემოღობვა უჩხუბის, ზეგნისა, ლომინაძეების უბნებში | 18 |
| | 9209 | 801 | სოფ. ცხემლისხიდი (უჩხუბში) საყანეების შემოსაღობად მასალების შეძენა | 28 |
| | | 1040 | სოფ. ცხემლისხიდი (უჩხუბში) გზის შესაკეთებლად ცემენტის შეძენა | 28 |
| | ბაღდადი | 1812 | წყლის რეზერვუარის მოწყობა | 1 |
| | | 1760 | გზის შეკეთება | 2 |
| | | 487 | მილხიდის მოწყობა ბაღდადის უბანში | 3 |
| | | 2178 | მოსაცდელების მოწყობა (ბაღდადი/თავკობული 2 ც.) | 19 |
| | | 2938 | სარწყავი არხის მოწყობა ბაღდადის უბანში | 8 |
| | | 398 | ბაღდადის უბანში წყლის მილის მონტაჟი | 1 |
| | 19623 | 6763 | სარწყავი არხის მოწყობა ფოლადის მილით ბაღდადის უბანი | 8 |
| 37517 | იანეთი 8707 | 7474,0 | წყლის სისტემის მოწყობა წყაროზე (იანეთი) | 1 |
| | ბოგილი 9096 | 3866,4 | ფრენბურთის მოედნის მოწყობა | 14 |
| | ჯუმათი | 7600,0 | ჭაბურღილის მოწყობა (ნაურმევი) | 1 |
| | | 2270,5 | საყანე ფართობში არხის მოწყობა. | 8 |
| | | 2579,7 | სასაფლაოს ღობის მოწყობა | 18 |
| | 9901 | 3500,0 | მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა (ცენტრში) | 19 |
| | ძირი ჯუმათი | 2383,5 | გზის შეკეთება (ნაურმევი-ძირჯუმათი) | 2 |
| | | 2846,2 | გარე განათების მოწყობა | 12 |
| | 9813 | 4995,8 | გზის შეკეთება | 2 |
| 654457 | | | | |
| | | 654456 | | |

# დღე, რომელიც ყველას უნდა ახსოვდეს

**ნინო ნიკოლაიშვილი**



დღე, რომელიც ყველას უნდა ახსოვდეს, ადამიანებმა ერთმანეთს უძღვნეს და ამ დღისთვის ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში შეიკრიბნენ.

ჯერ იდეა გაჩნდა. მერე ამ იდეის ავტორები სასოფლო კლუბის გამგე მაყვალა გაგუა და კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელი მაია ჩავლეშვილი მისი განხორციელებისთვის ზრუნვას შეუდგნენ. ლამაზი ღონისძიებაც გაიმართა ,,სიკეთისათვის მაცოცხლე ღმერთო“. წამყვანები ოზურგეთის მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მსახიობი ნიკო ხარხელიშვილი და მაია ჩავლეშვილი. ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ეძღვნებოდა და თავადაც მონაწილეობდნენ მასში. მთისპირიდან თამუნა შავაძე და ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარები (ხელმძღვანელი რომან ლომაძე); კლუბთან არსებული ანსამბლი ,,მეგობრობა“, სოლისტი გია ვაშალომიძე; სკოლის მომღერალ გოგონათა გუნდი (ხელმძღვანელი ნელი ციმინტია); ოზურგეთის ახალგაზრდულ რესურსცენტრის პროგრამით გათვალისწნებული სკოლაში არსებული სამოქალაქო განათლების საინიციატივო ჯგუფი, ლიდერი თენგო კალანდაძე; ქორეოგრაფი კახა მახარაძე და სხვები.

მუსიკალურ-მხატვრულ-ქორეოგრაფიული ერთობლივი კომპოზიციით მონაწილეებმა სამშობლოს სიყვარული გამოხატეს, რომელიც იმ პატარა სოფლიდან იწყება, რასაც მთისპირი ჰქვია. მთის კალთებს შეფენილი საუცხოო ბუნებისა და საოცარი ადამიანების აკვანი. სწორედ ადამიანებით ედება ყველაფერს ფასი და თუკი ყველა სიყვარულისთვის და სიკეთისთვის ცხოვრებას შესთხოვს უფალს, ამაზე დიდი და კარგი რაღა უნდა იყოს ქვეყნად.

რომან ლომაძის სახელით მასპინძლებს საჩუქრები გადასცა თამარ დუმბაძემ; თეატრის მმართველმა ზაზა ჯინჭარაძემ - თამუნა შავაძეს. შპს ,,მთისპირის“ დირექტორმა დავით შარაშიძემ თამუნა შავაძეს, ლელა წულაძეს, გიორგი მამეიშვილს, ანზორ შავაძეს; მაყვალა გაგუამ კლუბის სახელით - ოზურგეთელ სტუმრებს. ღონისძიებას ოზურგეთის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი კობა ბანძელაძე და თანამშრომლები ესწრებოდნენ, თუმცა უკმარისობის გრძნობა ჰქონდათ მაინც მასპინძლებს. ისინი მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ელოდნენ, მათ რომლებსაც ყველაზე მეტად ხელეწიფებოდა ამ ბავშვების დახმარებაო. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფალთ, გამგებლის რწმუნებული ლადო ჩავლეიშვილი და საკრებულოს დეპუტატი ავთო ნემსაძე აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ლამაზი ღონისძიების ჩატარებაში.

ეს ადამიანები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, ჩვენსავით სტკივათ და უხარიათ, მაგრამ ჩვენზე მეტი სიყვარული შეუძლიათ. ამ სიყვარულით ელოდებიან თანადგომას, რის გარეშეც მათი ცხოვრება კიდევ უფრო ნაცრისფერს დაემგვანება. წლობით ელოდება თამუნა შავაძე დახმარებას. თუმცა მავანთა კაპრიზების, თუ უგულობის გამო სოციალური დახმარებაც მოუხსნეს — თუ ცოცხლობ და არსებობ, არ გეკუთვნისო. საკუთარი თვალებითა და გულით საზღვრავენ გოგონას ბედს, ასეთი კანონია და რას ვიზამთო, არასოდეს უფიქრიათ თამუნას თვალებითა და გულით გამოეხედათ. —,,ოპერაცია რომ გამეკეთებინა, რამდენი რამ შეიცვლებოდა ჩემს ცხოვრებაშიო — ამბობს, რამდენ ტკივილსა და მოლოდინს იტევს მისი უძირო თვალები.

# ,,იცოდნენ, რომ კარგს არაფერს ვეტყოდი და პრეზიდენტს არ შემახვედრეს"

ნებართვას ითხოვენ თუმცა ჯერ-ჯერობით ამაოდ.

დახმარების სათხოვნელად ტეფნაძეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ბევრჯერ მიუმართავს. ის კი არა და იმედით იქნებ პრეზიდენტს შევხვდეო ახალი კლინიკის გახსნაზეც წავიდა. მაგრამ ,,გამოჩნდა თუ არა სააკაშვილი ახლოს მყოფი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანას დაუძახეს. მოვიდა ოთხი ფორმიანი კაცი და მანქანაში შემათრიეს. ვყვიროდი სად მიგყავართ ავად არ ვარ, გამიშვით, მადლია წერილს გადავცემ პრეზიდენტს მეთქი. მაგრამ ვინ გამიშვებდა."

ეს მოხდა საავადმყოფოს გახსნაზე, მაგრამ როგორც თანად ამბობს ,,ფარ-ხმალი არ დაუყრია" და კვლავ სცადა იუსტიციის სახლის გასახსნელად ჩამოსული პრეზიდენტთან შეხვედრა. სცენარი განმეორდა, ტეფნაძე კვლავ მოარიდეს იქაურობას ამჯერად შავი ფერის ტეფნაძისთვის გაურკვეველი მარკის მანქანაში ჩასვეს და ქალაქგარეთ გაიყვანეს. ,,არ ვიცი კონკრეტულად ვინ იყო ის ხალხი პატრული, პრეზიდენტის დაცვა თუ ვინ. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. გზაში ცუდად გავხდი, წყალი მომაწოდეს. ვეხვეწებოდი სახლში დამაბრუნეთ მეთქი. საკმაოდ დიდი მანძილი გავიარეთ. ზუსტად არ ვიცი სად ვიყავი, რომ თქვეს დავბრუნდეთ უკანო. ერთმანეთს ეუბნებოდნენ ცოდვაა ცოტა საჭმელი ვუყიდოთო. ერთმანეთს ეკითხებოდნენ ფული რომელს გაქვთო. ოცი ლარი აღმოაჩნდათ. მაღაზიასთან გააჩერეს, მიყიდეს პური, ძეხვი, ყველი, კვერცხი და ვაშლი და სახლში მომიყვანეს" — იხსენებს ტეფნაძე.

# ბახველი გოგონების წარმატება



ვინ თქვა ფეხბურთი ვაჟების სპორტია? დღეს გოგონებიც აღარ უდებენ ტოლს ბიჭებს.

ბახვის საჯარო სკოლა ფეხბურთის სიყვარულით გამოირჩევა. რაც გოჩა კრასოტკინმა ფეხბურთელთა წვრთნა დაიწყო, არაერთი წარმატება იქნა მიღწეული. ვაჟების მოგებულ ტურნირებს ვინ მოთვლის. მალე გოგონებმაც აიხირეს და გუნდი ჩამოაყალიბეს. (1999-2000 წლებში დაბადებულები).

გოჩა კრასოტკინმა მისეული გულმოდგინებით დაიწყო ვარჯიში და... ბახველი გოგონები რეგიონის ჩემპიონები გახდნენ ტელეკომპანია რუსთავი-2-ის საბავშვო თასის გათამაშების ტურნირში.

22 მაისს, თბილისის ,,დინამოს“ სტადიონზე თავი მოიყარა ყველა რეგიონის ჩემპიონებმა. ბახველმა გოგონებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს წეროვანის საფეხბურთო გუნდი, შემდეგ მცხეთელები, რუსთაველები და ფინალისტები გახდნენ. ფინალში ბახველები ქობულეთელ გოგონებს შეხვდნენ.

ამერიკის ელჩი ჯონ ბასი და მისის მეუღლე მთელი გულით გულშემატკივობდნენ ჩვენებს, მაგრამ ქობულეთლებმა გაიმარჯვეს და მხოლოს მეორე ადგილს დავჯერდით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩემპიონატში 2000-მდე სკოლა მონაწილეობდა, მეორე ადგილი საკმაოდ დიდი წარმატებაა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ იმავე დღეებში ვაჟებმაც წარმატებით იასპარეზეს კახი ასათიანის სახელობის ტურნირში და პირველი ადგილიც აიღეს.

მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი და ბახველი ფეხბურთელები გულმოდგინეთ აგრძელებენ ვარჯიშს, წინ ბევრი ტურნირი ელოდებათ...

ჩვენ ვულოცავთ ბავშვებს წარმატებას და მხარში დოგმას ვპირდებით. მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის გამგეობას თანადგომისათვის, რაც გამოიხატა გოგონათა თბილისში გასამგზავრებელი სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებით.

**მზია ვაშალომიძე,**
სკოლის დირექტორი.

# კიდევ ერთი წარმატება



„ის, რაც ადამიანისთვის, კერძო პირისთვის სარკეა, ის მთელი საზოგადოებისათვის თეატრია, რომ ხალხმა შიგ ჩაიხედოს, თავისი ნაკლი დაინახოს და გასასწორებელი გაასწოროს. თეატრი სკოლაა ხალხისთვის!“–ასე შეაფასა გენიალურმა აკაკიმ თატრალური ხელოვნების ძირითადი ფუნქცია და როლი ადამიანთა ცხოვრების სრულყოფა-განვითარების საქმეში.

მით უმეტეს, აქტუალური და საყურადღებოა ჩვენთვის აღნიშნული სენტენცია დღეს, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცების ურთულეს გზაზე მდგომი საქართველო, უთვალავი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზით გამოწვეული სიძნელეების წინაშე დგას.

საყურადღებოა, რომ ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი (ხელმძრვანელი ზაზა ჯინჭარაძე), ეფექტურ ნაბიჯებს დგამს საიმისოდ, რათა ხალხს დაანახვოს ამ მხრივ ჩვენთან არსებული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და ჩაახედოს მისი გამოსწორების არსში. რითაც, ღირსეულად აგრძელებს გურიისა და სრულიად საქართველოს მასშტაბით არსებულ ისტორიულ ტრადიციებს.

ამ მხრივ, საკმარისია დასახელდეს ამ ბოლო დროს დადგმული სპექტაკლები: მ. ჯავახიშვილის –„ჯაყოს ხიზნები“ (დამდგმელი რეჟისორი შოთა ბაბილოძე) და ოზურგეთელი მსახიობისა და მწრლის ჯემალ კეჭაყმაძის–„იყვნენ ასეთი ბიჭები“ (დამდგმელი რეჟისორი იური ჯიჯიეშვილი), რომლებშიაც ძალზე ეფექტურადაა გადმოცემული ზოგიერთი სუპერსახელმწიფოს მიერ ძირძველი ისტორიული მხარეების ოკუპირებით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრის გზები.

...და აი, მიმდინარე წლის 22 მაისს, ოზურგეთის თეატრმა კიდევ ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა –წარმოადგინა ოთარ ბალათურიას პიესა –„მეფე ლირი თავშესაფარში“ (დამდგმელი რეჟისორი –ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ოთარ კუტალაძე).

აღნიშნული სპექტაკლი მართლაც რომ ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ დონეზეა წარმოდგენილი და მასში მონაწილე მსახიობები: ბელა კიკვაძე, თემურ კვირკველია, ივანე ჩხაიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ვალერიან კანთელაძე, ნუგზარ ბარამიძე, ომარ ურუშაძე, ალექსანდრე ლომიძე, ზაირა თოთიბაძე, შორენა გვეტაძე, იური ჯიჯიეშვილი, ნინო ჯულელი, ზაზა ჯინჭარაძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, თეა ჯიჯიეშვილი, ჯემალ კეჭაყმაძე იმდენად მაღალმხატვრულ დონეზე ასრულებენ თავიანთ როლებს, რომ მაყურებელს ალბათ გაუჭირდება გამოარჩიოს, თუ რომელია მათ შორის მთავარი, ან ეპიზოდური.

სპექტაკლი განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისეული ნაკლოვანებების გაანალიზება-წარმოჩენის მხრივ. მაყურებელი ნათლად ხედავს თუ ვისი ან რა მიზეზითაა გამოწვეული უმძიმესი პრობლემები და რა უნდა გაკეთდეს მათს აღმოსაფხვრელად.

**როლანდ თავაძე,**
ვეტერანი ჟურნალისტი

# საზეიმო კონცერტი სამუსიკო სკოლაში




ოზურგეთის გრ. კილაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და სავიოლინო კლასების მოსწავლეები, სკოლის გუნდი მონაწილეობდნენ.

მოსწავლეების მომზადების დონემ დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. როგორც სკოლის დირექტორმა ლელა შარაშენიძემ განაცხადა, მუსიკალურ სკოლაში(ფილიალებთან ერთად) 265 ბავშვი სწავლობს.

კონცერტის დაწყებამდე სკოლის დირექციამ ჟურნალისტებთან ერთად ფრანგი ებრაელი ქალბატონის, იადვიგა (ადა) შეფერი-თაყაიშვილის საფლავი მოინახულა, რომელიც მუსიკის მასწავლებელი იყო და სწორედ მისი ძალიხმევით გაიხსნა 1936 წელს ოზურგეთის მუსიკალური სკოლა.

სკოლის დირექტორმა მოსწავლეებთან ერთად ყვავილებით შეამკო იადვიგა შეფერის საფლავი.

# მარი კეკელიძის წარმატება



ქ. თბილისში, „დინამოს“ სტადიონის სარბენ ბილიკებზე გაიმართა საქართველოს პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც რეგიონების გუნდებთან ერთად გამოდიოდნენ აზერბაიჯანელი და სომეხი მძლეოსნები.

ოზურგეთის გუნდი 6 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, რომელმაც III გუნდური ადგილი დაიკავა.

ანასეულის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე მარი კეკელიძემ 4 კგ-იანი ბირთვი 7, 45 მეტრზე გადააგდო და III ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი მარინა კოტრიკაძე).

# პირველად საქართველოს ისტორიაში

ქ. ქუთაისში ჩატარდა ქალთა ეროვნული ჩემპიონატი რაგბიში, რაც პირველია საქართველოს ისტორიაში. ჩემპიონატში ოზურგეთელი და ლანჩხუთელი მორაგბე გოგონებიც გამოდიოდნენ. თუ რა ხდება გურიაში ქალთა რაგბის განვითარებისათვის, ამაზე კლუბის პრესიდენტს, **ზვიად უნგიაძე** გვესაუბრა:

–ორი თვის წინ ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ბაზაზე შეიქმნა ქალ მორაგბეთა გუნდი, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია სკოლის დირექტორმა მარინა ჯაფარიძემ, რომელის აქტიურად ჩაერთო ქალთა რაგბის განვითარებაში და სექციაში რამდენიმე მოსწავლე მოგვიყვანა.

ქვედა ბახვის სკოლის დირექტორ დოდო გოთუას და ამ სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის, წარსულში კარგი სპორტსმენის (ნიჩბოსანი) ნაილი ბურჯალიანის აქტიური დახმარებით ამ სკოლის გოგონები გაერთიანდნენ რაგბის სექციაში და ახლა ოზურგეთის რაგბის გუნდში 80 პროცენტი ქვედაბახველია. ისინი ამ სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ.

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ბათუმის, ქუთაისის, სენაკის, ნაქალაქევის (სენაკი), ოზურგეთის და ლანჩხუთის გუნდები.

ოზურგეთის ახალბედა გუნდმა ერთი თამაში მოიგო ნაქალაქევის გუნდთან. საქართველოს ქალთა ლელოს ისტორიაში პირველი ლელო ოზურგეთელმა მაია აბულაძემ დადო და სპეციალური პრიზი აიღო.

ლანჩხუთელმა ქალმა მორაგბეებმა კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ ჩემპიონატში. მათ ერთი თამაში ფრედ დაამთავრეს ქუთაისის გუნდთან, დანარჩენი კი მოიგეს. ეს გუნდი ლანჩხუთში ქალთა ფეხბურთის ბაზაზე შეიქმნა.

**–ვინ არიან ამ კარგი საქმის ინიციატორები და სხვა რა პერსპექტივებია ოზურგეთში რაგბის განვითარებისათვის?**

–ქალთა კლუბის დამფუძნებლები მე, გელა ფირცხალავა და მამუკა ჯანაშია ვართ.

ძალიან გვეხმარებიან ბახველები (სოფლის რწმუნებული გოჩა შარაშენიძე). ერთი თვის წინ ბახვში დაარსდა ბავშთა სექცია, სადაც წვრთნას გადიან ვაკიჯვრის, ფამფალეთის, ცხემლისხიდის, ქვედა ბახვის, მშვიდობაურის, ასკანის ახალგაზრდები. ეს ადგილი იმიტომ ავირჩიეთ, რომ რომ იგი ხუთი სოფლის ცენტრია. ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში ქალაქში ჩასვლას და წვრთნას ვერ ახერხებდნენ. ძირითადად აქ არის საბაზო გუნდი, საიდანაც პერსპექტიულ ახალგაზრდებს გადავიყვანთ ზვანის სარაგბო ბაზაზე. მწვრთნელი ლაშა ნინიძეა.

## ხსოვნა

# უდროოდ ჩამქრალი სანთელი



ბუნების კანონზომიერება ირღვევა მაშინ, როცა უდროოდ წყდება სიცოცხლის გზა. ადამიანის გარდაცვალება ახლობლებისატვის ყოველთვის მძიმედ გადასატანია, მაგრამ გაცილებით მკივნეულია, როცა მოულოდნელად და ტრაგიკულად სრულდება სიცოცხლის სავსე კაცის ცხოვრება. შემზარავია ამ ტკივილის განცდა.. ისეთი, გულის გულში რომ გაგივლის და სამუდამო კვალს რომ ტოვებს. მითუმეტეს მაშინ, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს იგონებს წარსულ დროში. გამოუთქმელია ეს ტკივილი, სულისშემძვრელი და გაუსაძლისი!

ასეთი დიდი გულისტკივილით შეძრა მთელი ოზურგეთი რეზიკო ღლონტის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულებამდე მან რწმენით, სიკეთით და სიყვარულით იარა თავისი ხანმოკლე ცხოვრების ლამაზ გზაზე.

ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა.. ხალასი ნიჭით იყო გამორჩეული. ყველაფერს ასწრებდა. ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, მათემატიკა, ინგლისური, საბავშვო თეატრი ავსებდა და ალამაზებდა მის ბავშვობას. ყველაფერს გადასძლია ფეხბურთის სიყვარულმა, რადგან გენეტიკა ბობოქრობდა მასში. ბაბუას, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის და მასავით უდროოდ დაღუპული ნამდვილი ვაჟკაცის რეზო ღლონტის სახელს ღირსეულად ატარებდა.

ყოველთვის გვერდით ედგნენ და ყველა სურვილს უსრულებდნენ მშობლები. თან ჰყვებოდა გამზრდელი ბებია. მზრუნველობას არ აკლებდნენ მამიდები. მას ყველანი იმედის თვალით შესცქეროდნენ ისე, როგორც ანთებულ სანთელს.

... და მართლაც სანთელივით ჩამოქნილი, წრფელი და ნათელი სულის ბიჭი იყო რეზიკო. დიდი სამეგობრო ჰყავდა. ყველას უყვარდა. გამორჩეული იყო გარეგნობით, გონიერებით, გულკეთილობით, შინაგანი პატიოსნებით.

ბავშვობიდან ვერ იტანდა ტყუილს. ცელქი და მოუსვენარი იყო, მაგრამ ყოველთვის მოწესრიგებული და სიმართლის მოყვარული. სიხარულს ანიჭებდა ყველას.

დიდ სიყვარულს ატარებდა გულით. ფიქრი უყვარდა, არასოდეს გადაუდგამს დაუფიქრებელი ნაბიჯი და ...

საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ტრაგიკულად დასრულდა მისი ლამაზი სიცოცხლე. ჩაქრა სანთელი, რომელზეც ლოცულობდა მისი დიდი ოჯახი. ეს მწუხარების ზარი იყო უამრავი ადამიანისათვის. მათთვის ვისთვისაც ძალზედ ძვირფასი იყო ეს საოცრად ზნემაღალი, კეთილი ბიჭი, და ვინაც გურწფელი გულით, დიდი ტკივილით და სინანულით გააცილა უკანასკნელ გზაზე.

40 დღე გავიდა ამ საშინელი ტრაგედიიდან.

არ ნელდება ტკივილი და არ არსებობს სანუგეშო სიტყვა ამ დიდი მწუხარების გასაქარვებლად.

სიცოცხლეშივე უფალს ნაზიარევი მისი ლამაზი სული ზეცაში დაივანებს. აქ კი, ყველას მუდამ ემახსოვრება, რომ ჩვენს შორის იყო და ცხოვრებას გვილამაზებდა ნათელი კაცი – რეზიკო ღლონტი, რომლის სახელი ყოველთვის დიდი სიყვარულით და სინანულით მოგვაგონდება.

**გოჩა ჟანიშვილი**

# ლიხაურის ღია პირველობაზე

სოფ. ლიხაურში ჩატარდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის „ლიხაურის ფილიალის“ ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1997-98 და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. ღია პირველობაში მონაწილეობდნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლის ჯგუფები და ლანჩხუთის და ჩოხატაურის გუნდები, სულ 110 მონაწილე. გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები.

1997-98 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ:

42,46, 50კგ. რობიკო ლომინაძე, ვაჟა გოთუა, ლაშა სალუქვაძე (ლიხაური, მწ. ალ. ბოლქვაძე);

54, 58კგ. გიორგი ბაკურაძე (შემოქმედი), გიგა ლომჯარია (მწ. ძმები ზურაბიანები, დავით მელუა);

63 კგ. ბორის ტულუში (ლიხაური).

1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის:

23, 38, 66, 76 კგ. წონით კატეგორიებში: ავთო მამალაძე, ირაკლი ძიძისტარაშვილი, გელა დევდარიანი, რობიკო ესაძე („ლიხაურის ფილიალი,“მწვ ალ. ბოლქვაძე);

26 კგ. გიორგი თოხაძე (შემოქმედი, მწ. დავით მელუა, ძმები ზურაბიანები);

29, 59 კგ. გიორგი შოთაძე, გელა დევდარიანი (ლანჩხუთი, მწ. ძაზა ღლონტი, დათო მჟავია);

32 კგ. გიორგი ლომაძე (თხინვალი, მწ. თენგიზ ლომაძე);

35 კგ. შოთა სალარიძე (ოზურგეთი, მწ. გურამ მაჭარაშვილი);

42 კგ. იური ნიკოლაიშვილი (ნატანები, მწ. ვაჟა შენგელია);

47, 53 კგ. ლაშა ზაქარეიშვილი, გურამ მშვიდობაძე (შრომა, მწ. გურამ აბაშიძე).

გამარჯვებულები და პრიზიორები ოზურგეთის სასპორტო სკოლამ მედლებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ვაშაყმაძე, საკრებულოს დეპუტატი თამაზ სალუქვაძე.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru